


ნახ. დ. პარსიანი



— ამიტვის უაღდისს მთავრება სამსახური?  
— ეგ სომ ჩვენთან ახლა მარტო ხელფასს ღებულობს!

# ქახიანი სიტყვა

უთვალავი წლის საზღვრების იქით, უხსოვარ დროის სარკმელის მიღმა, ფასობდა, როგორც ძვირფასი ნივთი ალალ-მართალი, კაცური სიტყვა — მართალი სიტყვა, ნათქვამი კაცის, ბეჭედდარტყმული კაცური ენით, დამფასებელი მიწიერ ღვაწლის, შეუზღალავი სუნთქვით და ბგერით! მოსდევდა დრო-ჟამს და ზღვისდაგვარად ემატებოდა სიტყვის ნაკადი, სიმართლის აბჯარს ხმარობდა ფარად, მხრებზე ეფარა, როგორც ნაბადი! მაგრამ როდესაც გაჩნდა სიხარბე, მაცდუნებელი ოქროს ტაცება, ბზარი გაუჩნდა ნაქებ სიმართლეს, სიტყვის დალატი იწყეს კაცებმა!.. უღვაშის ღერმა დაკარგა ფასი, სიწითლის ფერი დააკლდა სინდისს, სიტყვა — სასწორი ჭეშმარიტ კაცის — იბურებოდა ნაღვლით და სიმწრით! იშვა სიცრუე, ტყუილი გაჩნდა, და ორპირობა განშირდა ოდეს,

შეურიგალნი, უარის მსგავსად, დამბაჩებიდან ისროდნენ პროტესტს! გაჩნდა მელანი სხვადასხვა ფერის, შეფარულ აზრის რეზოლუცია, გავრცელდა ქვეყნად სიმართლის რღვევით, რაც ტყუილია, რაც ლაქუცია! მერე, როდესაც სიცრუის შხამი ზოგიერთების სხეულს მოედო, „ანონიმებით“ გახრწნილი გვაში უკაცურობის ყალიბს მოერგო! შემოეხვია ავზნე სენივით სიტყვა ლიტონი სახლებს და დუქნებს, და მოთარეშე მაცდურ მწერივით კაბინეტებშიც შეიჭრა უცებ!.. და ზის ზოგ-ზოგი დროების კაცი, საქმით დაღლილის იერი დაჰკრავს, ბორგავს, ფაფხურობს, ვითომდა მკაცრი, უსმენ და ხვდები, ტყუილებს ქარგავს! გპირდება, ფიცით გაიწყვეტს ცოლ-შვილს, სახის ნილაბი ეცვლება ასჯერ, გუშინდელ დასტურს დღეს ისე მოშლის, რომ თვით ამ ქვეყნის რცხვენია გამჩენს! ცრუობს, პირფერობს!.. იცი, გატყუებს, სიმართლის დარგში ეშლება უფროსს, სიტყვის ბურანში გახვევს, გაბრუებს, ოღონდაც მალე გამოგისტუმროს!..

დროა, რომ უთხრა: — შეჩერდი! მარა! მარა! მარა! მაცდურ სიყალბეს მოსდევს ადვილად, გუშინდელ გზა-კვალს უთხროს, ვაუკაცის სიტყვას ეცი პატივი თუ იტყვი, ნათქვამს მიეცი ძალა, ნუ ტოვებ უკან ხვრელსა და სოროს, ჭეშმარიტ სიტყვას ჭედავდა მარად სიმართლის გრდემლი მხოლოდ და მხოლოდ! გასჭერ სინდისის მოქნეულ ხმალით ყველა სიყალბე, ყველა ლიტონი, სიტყვასაცა აქვს, გჯეროდეს, რვალი — მტკიცე, ურყევი, როგორც ლითონი! მოიძრე, ნილაბს ნუ ხმარობ ფარად, გადაივიწყე, რაც დღემდე გითქვამს, სიმართლეს მხარი მიუდგი მყარად! გადავარჩინოთ კაცური სიტყვა!

## ვალერიან მამუკალაშვილი



ნახ. ბ. კანდელაკისა



— აღრე ჩვენთან საჯაროობა არ იყო: მაგიდების ქვეშ ქსოვდნენ მალულად!..

## ვის როგორ მხმის ბარდაქმნა, დიქპარმბა, საჯაროობა!..

**ბიუროკრატი:** — არ შემოხვიდეთ, დაკეტეთ კარები!  
**ლოთი:** — ერთის მაგიერ, მომეცით ორი!  
**სპეკულანტი:** — ინგლისური „შმო-ტკია“, მოიტა ასი, ულაპარაკოდ!  
**ნოქარი:** — სიგარეტ „კოსმოსს“ „რუბლი“ უნდა!  
**მლიქვნელი:** — ახლა სასლიდან მოვდივარ ლოცვა-კურთხევით...  
**საბავშვო ბაღის გამგე:** სუთი მყავს, ათს ვზრდი! მეტი რა ვქნა?!  
**საწყობის გამგე:** დაკეტეთ წინა! უკანა კარით შემოდით!  
**ექიმი:** ა, ბატონო, რეცეპტი, თუ გიშველით!

**რევაზ ლორია**  
(ქ. ლანჩხუთი)

# ფერისკვლემა კანტორისა

შედეგები

საქსაბარომრეწვის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რესპუბლიკურ კანტორას (უფროსი ზ. ლეკიშვილი), რა თქმა უნდა, აქვს წარმატებები, მაგრამ როცა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესასწავლად კომპლექსური რევიზია ჩაუჯდა, აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა სახის დარღვევა-დამახინჯებებიც ჰქონია:

შარშან ექვს თვეში კანტორაში საქონელბრუნვაში მიმოქცევის სარევიზიო სეფდრითი წილი 7,5-დან გაიზარდა 8,5 პროცენტამდე, რის გამოც დიანარჯა გვემურზე 864 ათასი მანეთით მეტი, აქ წლიურ სტატისტიკურ ანგარიშში (ფორმა № 5) ფულადი შემოსავლის გვემური შესრულება უჩვენეს 96,8 პროცენტი, როცა საბუღალტრო აღრიცხვის საბუთების თანახმად იგი შეადგენდა 91,8-ს, ანუ სტატ-ანგარიშში მეტი აღმოჩნდა ნაჩვენები 1539 ათასი მანეთი.

ანალოგიური დარღვევებია კანტორის ავტორიზაციის საწარმოს (უფროსი ა. კიკვიძე) საქმიანობაზე გაგზავნილ სტატანგარიშებშიც. შემოსულებისას საქმიან უზოში მდგარი 43 ავტომანქანიდან 7 არ მუშაობდა ტექნიკური მიზეზებით, 23 — მძღოლებით დაუკომპლექტებლობის გამო, 4 მანქანაზე კი არ მუშაობდა მანძილშოში, 15 საგზურის ფურცელი ისე იყო გაცემული, რომ ძველი არ დაებრუნებინათ მძღოლებს. შედეგად: გვემით ვათვალისწინებული 10,3 მილიონის ნაცვლად შესრულებულია 8,3 მილიონი ტონა-კილომეტრი, ხოლო ტრანსპორტით მომსახურებიდან მიღებულია 895 ათასი მანეთის შემოსავალი, რაც გვემურზე 89 ათასი მანეთით ნაკლებია..


მომწოდებლების ანგარიშების დროულად გაუნაწილებლობისათვის კანტორამ გადაიხადა 225,5 ათასი მანეთი საურავი, ვაგონების მოცდენისათვის — 21,2 ათასი, ხოლო ტარის დროულად დაუბრუნებლობისათვის — 62,9 ათასი მანეთი ჯარიმა, რომელიც დაშნაშვე პირებზე დაწერის ნაცვლად მთლიანადაა ჩამოწერილი ზარალში. და კიდევ: სათანადო კონტროლისა და სუსტი მომთხოვნელობის შედეგად ზოგჯერ ერთი და იგივე საქონელი აღრიცხულია როგორც საწყობში, ისე იმ ორგანიზაციაში, სადაც გაიგზავნა, რის გამოც საწყობში მატერიალურ ფასეულობათა ნაშთი მექანიკურად იყო გაზრდილი 211,4 ათასი მანეთით.

უყარათო მუშაობის შედეგმა იკამდე მიგვიყვანა, რომ კანტორაში ირიცხებოდა 4 770 ათასი მანეთის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთი, ხოლო საკუთარ საბრუნავ სახსრებში გარღვევა 21 ათას მანეთს შეადგენდა. მძიმე ფინანსური სიძნელეების გამო გასული წლის სექტემბრიდან კანტორას მოეხსნა დაკრედიტება.

კანტორაში ფონდირებული საქონელი ძირითადად ათვისებული და გაცემულია წესების დაცვით, მაგრამ დარღვევებიცაა. განაცხადების ნაწილი დაუსაქონლებლადაა დატოვებული მიუხედავად იმისა, რომ საქონელი საკმაო რაოდენობით აქვთ. შარშან სიღნაღის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას უნდა მიეღო 20 ცალი ცენტროფუვა, 20 „ბრუსი“, 20 დერძი, და 100 ბუნიკი. ეს ყველაფერი საწყობში იყო, მაგრამ ვერ მიიღეს. ასევე დაემართათ ბოლნისის და გურჯაანის რაიონებს. ზოგჯერ განაცხადები მეტ-ნაკლებად საქონლდება. ასე მაგალითად, დმანისმა შარშან 7 კომბაინზე 20 ცალი ლევადი მიიღო, ხოლო მარნეულმა 36 კომბაინზე — ვერც ერთი, როცა ნორმა კომბაინზე ერთი ლევადაა. რატომ?

მარაგაწილების განაცხადის მიხედვით მიუღებლობას უჩივიან ყვარლის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში, საშურის, საჩხერისა და ქარელის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოები. ანალოგიურ დარღვევებს ადგილი აქვს საშენ მასალათა და ლაქ-საღებავების, ავტომანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაცემისას. მუშაობის მანკიერმა სტილმა იკამდე მიგვიყვანა, რომ კანტორაში დაგროვდა 2 044 ათასი მანეთის ღირებულების სხვადასხვა სახის ძნელად სარეალიზაციო საქონელი. ბევრ მათგანზე მოთხოვნილება საერთოდ არაა!

ნაკლები ყურადღება ეთმობა კანტორაში დებიტორულ დავალიანებათა დროულად ლიკვიდაციას, რის შედეგადაც შემოსულებისას იგი 10 606 ათას მანეთს შეადგენდა. ამ საქმეში „თავი ისახელეს“ მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა: გ. ბერაიაძე, ა. ჭალაგნიძე, გ. ბერაშვილიძე, ა. ფსაკაძე, ნ. მესხია, ნ. შევარდნიძე და მ. აბაშიძე. მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ერთ ნაწილზე რიცხული დავალიანებების შესახებ კანტორას არავითარი საბუთი არ გააჩნია, გარდა თანხების



გარდაიქმნა, როგორც იქნა!

პირად ბარათებში აღრიცხვისა, რომლებიც ერთი წლიდან მეორეში მექანიკურად გადადის. კანტორაში რიცხული დებიტორული დავალიანებებიდან საპრეტენზიოა 159,8 ათასი მანეთი. მარტო პრეტენზიების წაყენების ვადების დარღვევისა და საბუთების არასწორად გაფორმების გამო კანტორამ 45,4 ათასი მანეთი იზარალა!

შემოსულებისას № 548 ანგარიშზე (საქონელი გზაში), ირიცხებოდა 7548 ათასი მანეთის დავალიანება, რომლის განაღდება საქონლის მიმღები ორგანიზაციების მიერ არ ხდება ძირითადად სათანადო დაფინანსების წყაროების უქონლობის გამო. თუ არა კანტორის მუშაკთა გულგრილობას, სხვას რას მოწმობს ის, რომ რევიზიის პერიოდში გატარებული ზომების შედეგად დაიფარა 346,8 ათასი მანეთის დავალიანება. ქმედითი ზომები არ იყო გატარებული წინარევიზიით გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამიტომაც, რომ კვლავ დიდი რაოდენობით ირიცხება დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები. დროა მომწოდებლების მიმართ გაატარონ სათანადო სანქციები სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის!

ასეთ ფერისცვალებას აქვს ადგილი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რესპუბლიკურ კანტორაში. რევიზიის შედეგების მიხედვით იმსჯელეს საქსაბარომრეწვაში და გაატარეს სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებანი, აგრეთვე დასახეს ამოცანები კანტორის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში გამოვლენილ დარღვევა-დამახინჯებათა ფაქტების აღმოსაფხვრელად.

მ. გომილაური



# საღაღობო

# გამოცანები

გერმანული  
ლიტერატურა

სუმრობა არ გეგონოთ! — ეს ლექსები მართლა გამოცანებია, შე შევადგინე, შამა იორამშია (გამარჯობათ თქვენი!).

ბევრი დაკვირვება არ უნდა: გაწაფული ყური და დაკვირვებული თვალი ყოველ მათგანში აღმოაჩენს ჩვენს რომელიმე ცნობილ ქართულ მწერალს მისი წერის მანერის, სტილისა და ხასიათის მიხედვით!

ჩემი აზრით, ბუნებაში არსებობენ რთული და მარტივი, ანუ იოლი და ძნელი გამოცანები.

ისევ ჩემი აზრით, ყველა გამოცანა იოლიცა და ძნელიც, — ამომსხნულს გააჩნია!..

ვინც ყველა გამოცანას გამოიცნობს, „ნიანგი“ ჯილდოსაც კი პპირდება (ცხადია, თუ არ სუმრობს).

ხო მიგოვაგდა, მაგრამა, მიაბოტებდა, მილასლასებდა, მილასლასებდა და მითანტალებდა კუნტრუმ-კუნტრუშითა...

მილაყუნებდა ადამის ხნიდანა, დაბადებიდანა, გაჩენის დღიდანა, ბუმბულის ამოსვლიდანა, ციდან ჩამოსვლის დღიდანა და მიწაზე დაჯდომის დღიდანა... ეგრე მიდიოდა, რო ბოლთასა სცემდა...



## ერთი

— ლექსი? — ჩიბუხით მოიქეპა (აბა ვინ?) ფერდი, — ათი კი არა, ყაბულს იყავ, თუ დაგრჩა ერთი!

— კაცი? ჩიბუხით მოიქეპა (არ ვამბობ!) გვერდი, — ათი კი არა, დეეტიმ, თუ დაგრჩა ერთი! სადაა, ბოშო, დუნიაზე ამდენი კაცი?! ან შენი ლექსი (გააბოლა) ვის უნდა აწი?!

— კაცს რა გამოლევს!.. — არ თქვა მამი! ნუ გეხსნით რეტი! — ის მისთვის იყოს, რავარც არი, შენ კიდო — შენთვის!

— ლექსი... — გითხარი, პროზად წერთ-თქვა (მიილო პოზა),

მარა...

— რა მარა? — რო არაა პროზაც?!

— კაცი როცა ბჭობს...

— რაო, რო ბჭობს?

— იცინის ღმერთი...

— არ დეიჯურო,

იმ ღმერთს საქმე არ პქონდეს მეტი!

— აჰ, ახლა ღმერთიც...

— გაჩუმდი ერთი!

## ყვავი

მილაყუნებდა ყვავი ნახნავში და... კი არ მილაყუნებდა, მიყანყალეებდა, მიხანხალეებდა, მიჩინჩალეებდა,

მიფლატუნებდა...

ეგრე მიფლატუნებდა, რო მიიზლანებოდა,

კი არ მიიზლანებოდა, მიღონღილებდა,

მიგოვაგდა კიდევაცა...

## ალაზანი

იალაზანა ალაზანმა, იალაზანა, იალაზანა, იალაზანა, ბოლოს გადიქვა მტკვრად. რა ძალა ადგა?! რა ძალა ადგა?! რა ძალა ადგა?! იალაზანა რად?!

სისხლი ალაზნის გადვიდა მტკვარში, მტკვარიდან ზღვაში, და ზღვიდან ნავში, ნავიდან ხაპში, ხაპიდან ზღვაში... და დრო გადიოდა...

და მოდიოდა, და მოდიოდა, და მოდიოდა, თელავს, გურჯაანს, ლენქორანს, შამქორს

და, მიუნდავად ამისა, მაინც — ბოლოს კასპიით ჩავიდა ბაქოს! ამინ!

გალი — გალი,  
ქალი — ქალი,  
ანი — ანი,

ბანი — ბანი,  
ჰანი —  
ბალი...

— მედეას იცნობ?  
— არგოსელს?  
— რას ვსვამ, თუ იცი?  
— მანგოს წვეს!

მანგო — ტანგო,  
ტანგო — მანგო,  
არ მოჩანგლო,  
ბიჭო, მაგ ვო...  
ეწყინება  
მეფე სარგონს!..


— ერთი-ორი შეკითხვა მაქვს!  
— კი, ბატონო, მიდი!  
— რვას რომ ათი გამოვაკლოთ, რა იქნება?  
— შეიდი!  
— შეიდს რომ ათი დავემატოთ?  
— დიდი-დიდი, ექვსი!  
— დიდ მაღლობას მოგახსენებთ, — ესეც შენი ლექსი!

## ორმოცდაათმანე- თიანი ღამე

ხელი გავისერე სამანივით, შუა გადაიპო ხელისგული... ჯადო გადავისვი — ქვამარილი, ლუდი დავაყოლე ვერისუბნის.

მსურდა მერემეს და მესმიმდეს ღამე ხელგაშეერილს გამეთია... ვილაც მოქალაქე ხელში მიდებს შეიდ ცალ ორმოცდაათ მანეთიანს.

შეიდი გავამრავლე ერთი-ათად, — გადავანურდავე კაპიკებად... აი, ასე იცის ღღენიდავ ყოფნა-არყოფნაზე დაფიქრებამ.





— აბა, მიდი, თუ ბიჭი ხარ! ეგ თანამდებობის უსისხლოდ დამომობია?!

# ინგაჩვი

## გადაჟონით

(შერჩეულია სპონსორად)

— ალო!.. ხომ მიგაჩნიათ, ვთქვათ. შესაძლებლად, რომ გუშინ დაწყებული საუბარი განვაგრძოთ?

— გამარჯობათ, ჩემო ბატონო!

— გამარჯობათ!.. დიდა სიამოვნებით!.. ასე ვთქვათ.

— გისმენთ, პატივცემულო!

— უკაცრავად, მაგრამ გუშინ როგორღაც არ გამახვილებულა ამაზე ყურადღება და თანაც ხომ სულ ერთია, ადრე თუ გვიან საქირო შეიძლება გახდეს თქვენი წარდგინება პრესაში... ესე იგი, თუ შესაძლებლად მიგაჩნიათ... დაასახელებთ თქვენი სახელი და ბარემ გვარიც, ასე ვთქვათ!

— გაინტერესებთ, რა მქვია და რა გვარი ვარ?

— და-და-და-და!.. თუმცა ასე ოფიციალურად რატომ?... ნუ, როგორც არის ისე, ჩვენში დარჩეს და, მაყურებლებსაც დაინტერესებს ალბათ. კი არადა, აუცილებლად!.. ამიტომ ბრძანეთ!

— კაცი ლომია.

— ა, ავაშენოთ ღმერთმა! (იღიმება) კაცი ლომია?..! ისე, სხვათა შორის, საერთოდაც სწორია და არ დაგიმალავთ!.. ანდა რატომ? თუ ნამდვილი, პატიოსანი უურნალისტი ხარ, რატომ უნდა დამალო?!. დიას, სხვა წრის, ასე ვთქვათ. ხალხისგანაც მსმენია, რომ ნამდვილია!.. კი არადა, ას პროცენტში ზოგიერთი ას პროცენტში — ლომი თუ არა მაინცდამაინც, ტახი ნამდვილიაა. (შუბლზე მუხუხუნით) ისე, რა მაგის პასუხია და, თქვენ ვის გულისხმობთ?

— ბატონო, კაცი მქვია სახელად და გვარად ლომია გახლავართ!

— აჰ... პირიქით, თქვენ თვითონ?!. ჰა-ჰა!.. აი, თურმე რაში ყოფილა ძაღლის თავი..

— როგორ იკადრეთ?!

— ისე, რომ იცოდეთ, ხა-ხა-ხა-ხა! არის, რა თქმა უნდა! როგორ არ არის?! მიღიხარ, დაახლოებით, ქუჩაში ან, ვთქვათ, ზღვისპირას. მიღიხარ და უცებ... ის რომ არის... რა ჰქვია...!

— სულიერია თუ უსულო, პატივცემულო?

— სწორია!.. ხედავთ, რაში ყოფილა საქმე?! ნამდვილია!.. ყველაფერს თავისი კანონები აქვს. ბუნებასაც მათ შორის... ამას იმიტომ ვამბობთ ასე ხმამკრივად, რომ... ნამდვილია რამდენია — სულიერია და უსულო კია ან პირიქით, თუ გახდება საქირო, ყოველთვის შესაძლებლად მიგვაჩნია ამის დადასტურება. თქვენი არ ვიცი და მე, მაგალითად, ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, კი არა, ცხად-ლივ მაგონდება... მოსალოდნელია თქვენც გემახსოვროთ... გობი ერქვა მაშინ. მრგვლად ამოჭრილი, უფრო ზუსტად, ამოთლილი და ამოღრმავებული იყო საერთოდ.

— ხე ჭირდა სამაგიეროდ. გაზი არ გვქონდა და შეზად ხეს ვხმარობდით.

— (გამოცოცხლდა) ხეებს ვხმარობდით შეზად, ხომ კი?

— ასე იყო, ჩემო ბატონო!

— აი, სწორედ ეს არის, რაც თქვენგან, დიას. ძირითადად გინდოდა.

— რა გნებავდათ, ბატონო?!

— მადლობა საინტერესო საუბრისათვის თუ გასაუბრებისათვის, ამას პრინციპული მნიშვნელობა სულაც არა აქვს, რადგან მთავარია პატრიოტულად უღიტიანებდეს ადამიანს ნერვი! ნამდვილია!.. დანარჩენი თავისით მოვა. ყურადღებით უნდა იყოთ! ეს მასალა წვა რუბრიკაში... თუმცა რატომ? არაფერიც!.. ციკლი ალბათ. კი, დასტურ ციკლი საინტერესო ციკლი იქნება, სხვათა შორის: „გაზი და ლეგენდა სიმღერის გადარჩენისა — ტყე შეუწახე შეილებსა!..“ ნახვამდის, ოღონდ დროებით ნახვამდის! ექვციც არ გვეპარება იმაში, რომ... არა, „გვეპარება“ უხერხულად უღერს...!

— არ გვექვება ალბათ..

— ვოტ-ვოტ-ვოტ-ვოტ!.. ხედავთ, რაში ყოფილა საქმე! მომავალ შემთხვევაში დაე!

გიგო ზარნაძე



# გულბრყვილო ასლანი

სიკლიდან — „დიდი ქალაქის გარეუბნები“

ასლანი გულბრყვილო იყო. ქალაქის განაპირას — პატარა სახლი იდგა. ასლანს ერთი ბებია ჰყავდა და ასლანი და ბებია იმ პატარა სახლში ცხოვრობდნენ. გარეუბნის სახლებმა არ იციან, რა ხდება დიდი ქალაქის დიდ სახლებში, არც სურთ შეიტყონ, არიან თავისთვის. ასლანსაც არაფერი იცოდა, რა ხდებოდა ქვეყნად. იყო ისიც თავისთვის. არავის არაფერს სთხოვდა, არაფერი სჭირდებოდა. ბებია ხომ ჰყავდა, ყველაფერს ბებია უკეთებდა, რაც დრო გადიოდა, ბებია კი არ ბერდებოდა, ახალგაზრდავდებოდა პირიქით. თანაც ასლანი სავსებით გულბრყვილო იყო. ცხოვრობდა ამიტომაც ბედნიერად. დადიოდა მუბლგახსნილი, იღიმებოდა ბედნიერად და კეთილად. იგი ხომ სავსებით გულბრყვილო იყო. უყვარდა ჭიდაობის ყურება, მომღერლების მოსმენა, რომლებიც გარეუბნის პარკის ესტრადაზე გამოდიოდნენ, შაშის თამაში უყვარდა და ჭამა!.. და კიდევ ბევრი რამ უყვარდა ასლანს ამქვეყნად, არც იცოდა, თუ რა, რადგან ძალიან გულბრყვილო იყო. არც აწუხებდა არაფერი. იჯდა თავისთვის, დადიოდა თავისთვის, ჭამდა, უყურებდა ჭიდაობას, უსმენდა მომღერლებს, თამაშობდა შაშს და გამუდმებით იღიმებოდა კეთილად და მთლად გულბრყვილოდ. არაფერი იცოდა, რა ხდებოდა ქვეყნად გულბრყვილობის გამო.

ერთი მეგობარი ჰყავდა ასლანს, გულბაათი. არც გულბაათმა იცოდა არაფერი. ისიც კი არ იცოდა, რომ რადგან არაფრის მცოდნე იყო, არც მისი რჩევა-დარიგება სჭირდებოდა ვისმე, მაგრამ შეთხვევას ხელიდან არ უშვებდა. საოცრად უყვარდა ჭაუის დარიგება. გამოსდებდა ყოველ შემსვლურს ხელს მკლავში, გაჰყვებოდა გვერდით და იდუმალი კილოთი დაუწყებდა შეგონებას. ერთხელ გულბაათი ქუჩაში სეირნობდა, ხალხს ეძებდა ჭაუის დასარიგებლად. ასლანის სახლის წინ გაიარა შემთხვევით, მაღლა აიხედა და ასლანი დაინახა, რომელიც ჩვეულებისამებრ აივანზე იჯდა. — გამარჯობა, ასლანი! — ისე მხნედ მიესალმა გულბაათი, თითქოს რაღაცით დაიამებოდა. — გაგიმარჯოს! — ხამამალა და გულბრყვილოდ მიესალმა გულბრყვილო ასლანი. — ბიჭოს!.. — გაუკვირდა გულბაათს, — შენ რამოდენა ხმა გქონია, ჩამოდი ერთი ძირსო, მოიხშო თავისთან. ასლანი იმწამს ჩამოვიდა. გულბაათმა მკლავში ხელი გამოსდო, ბევრი ესაუბრა ჩამაგონებლად, დაუყინა, მომღერლად გამოდგებოდა, და ბოლოს დაღარწმუნა კიდევ. მეორე დღეს კლუბის სცენაზე გამოიყვანა. ასლანმა არც ერთი სიმღერა არ იცოდა, დაიბნა და პირიდან ხავილილა ამოსცდა.

ამის შემდეგ კლუბში აღარ შეესვლებოდა. ბევრი არ უნაღვლია. მართალია, გარეუბნის ღია ესტრადაზე გამოსულ მომღერლებს ვეღარ უსმენდა, მაგრამ საშაგიეროდ ჭიდაობაზე ხომ დადიოდა, თამაშობდა, შაშს და იყო ბედნიერი.

ერთ დღეს ისევ ვადაყვარა ასლანს გულბაათი. ასლანს წყლით სავსე სათლი მიჰქონდა. ბებია, რომელიც დაბერების ნაცვლად ახალგაზრდავდებოდა, ზამთრისათვის შეშის მოსამარაგებლად წავიდა, ასლანი კი სთხოვა სადილის გასაკეთებლად ერთი სათლი წყალი

მოეტანა. გულბაათი მიუხლოვდა, სათლი ძირს დაადებინა, მეორე მკლავში გამოსდო ხელი და ჩაავიდა, ასეთი ძალის პატრონი გახდა. თუოდ დიდი ფალავანი დადგება, ამოდენა სათლის აწვევა თუ შეგველო, სად იყავი აქამდე, შენი ადგილი საჭიდაო ხალხისაა.

მეორე დღეს მთელი საჭიდაო დარბაზი სიცილით იხოვებოდა ასლანის საცოდაობის შემყურე. ახლა აღარც ჭიდაობაზე წესგვლებოდა ასლანს, მაგრამ შაშის თამაში ხომ შეეძლო და ჭამა და იყო კვლავ ბედნიერი.

შაშის თამაშის დროსაც შემოესწრო გულბაათი. ასლანმა ერთი მარტივი ილეთი იცოდა. თუ იმის ჩატარებას მოახერხებდა, იყო ბედნიერი, გინდა მოეგო, გინდა წაეგო. გულბაათმა გამოსდო მკლავში ხელი და ჩასწორწულა, — ხვალ მოვალ, შაშის ეტოუდების წიგნს მოგიტან, შენგან შაშის დიდოსტატი დადგებო! მართლაც მიუტანა. ასლანი ჩააჩერდა წიგნს, ის ერთი ილეთიც გადაავიწყდა და ახლა შაშსაც ვეღარ თამაშობდა იმ ერთი ილეთის გადავიწყების მიზეზით. ახლა საყვარელი საქმიანობიდან მარტოლა ჭამა შერჩა. ჭამდა ასლანი და აგრე ეგონა, თითქოს სიმღერებსაც უსმენდა, ჭიდაობის საყურებლადაც დადიოდა, შაშსაც თამაშობდა. თითქოსდა არაფერი აკლდა, რაც უყვარდა. ბებია ნაირნაირ საჭმელებს უშვებდა. ათი ხელი გამოიბა. ის ხომ არ ბერდებოდა, პირიქით ახალგაზრდავდებოდა, ჭამდა ასლანიც, მერე კბილებს გამოირცხავდა, გაიღიმებდა გულბრყვილოდ, გამოაჩენდა საოცრად ჯანსაღ კბილებს და იყო ბედნიერი.

ერთ დღესაც ასლანი ჩვეულებისამებრ აივანზე იჯდა. გულბაათი გახეილი კბილები თეთრად უწვავარებდა. გულბაათმა ჩაიარა ქუჩაზე. ასლანი მიესალმა და გულბრყვილოდ გაუღიმა. — ჩამო ძირსო, — შენძანა გულბაათმა. — შენ როგორი თეთრი კბილები გქონია, — უთხრა მან, — როცა ასლანი ძირს ჩავიდა, — რით იხეხავ? — კბილის ფხვნილით, — გულბრყვილოდ მიუგო გულბრყვილო ასლანმა.

გულბაათმა მკლავში ხელი გამოსდო, ხევიანში გაატარა და საიდუმლოდ გაანდო: — დილა-სალამოს ცხლად მოხარშული სიმინდი ჭამე, კბილები უფრო შეგენახება და გაგიეთრდებო!

დაიწყო ასლანმა ცხლად მოხარშული სიმინდის ჭამა. საუზმეს, სადილს, ვახშამს აუცილებლად ცხელ სიმინდს აყოლებდა ხოლმე. კბილებს წმენდას თავი ანება. საჭმლის ნარჩენები ხომ პირში რჩებოდა. ამას სიმინდის ნალექიც მიემატა და კბილები ერთიანად გაუფუჭდა და ჩაუყვითლდა. მალე დაეფშვნა კიდევც, სათითაოდ დასცვივდა და ერთ მშვენიერ დღესაც ლუქმა ვეღარ გაღვჭა. ბებია მფაფხები გაუკეთა. — ჭამე, შვილო, შენ ხომ ჭამა გიყვარს, ყველანაირი ფაფა მოგიმზადე, ბურღულის, მანანის, სორბლის, სიმინდისაც გაგიკეთე, შენ ხომ გიყვარს სიმინდიო, — დაადგა თავზე.

სიცოცხლეში პირველად აყვირდა ასლანი: — არ მინდა ფაფები, სიმინდიც ეშმაკს წაულია და სიმინდის ფაფაცო!.. მერე თავი ჩაქინდრა და ნაღველმა შეიპყრო. ცხოვრობდა მთელი თავისი დღენი ბედნიერად. უსმენდა სიმღერებს, დადიოდა ჭიდაობის საყურებლად, თამაშობდა შაშს, ჭამდა და იყო ბედნიერი. ახლა აღარც ერთი შეეძლო, აღარც მეორე, აღარც მესამე. ჭამა უყვარდა და ამის საშუალებაც მოეპოო. აღარ იცოდა, რა ექნა! ვეღარ გაეგო, რა დარჩენოდა კიდევ სასიყვარულო. კიდევ ბევრი რამ უყვარდა ამქვეყნად ასლანს, მაგრამ ის ხომ გულბრყვილო იყო, არარა იცოდა და ატირდა ასლანი, — არ მინდა ფაფები, მომამოროეთ ბურღულის, მანანის, სორბლის, სიმინდის ფაფები! — გაიძახოდა.

ახლა კი მართლა სჭირდებოდა ყოველნაირი და მათ შორის სიმინდის ფაფაც, მაგრამ რა იცოდა ეს ასლანმა, იგი ხომ სავსებით გულბრყვილო იყო!

ელიზერ გიორგაძე

ნახ. 3. კუსიანი



უსიტყვოდ

ეგრე არ არი, თაყაო,  
შენ რომ მამული გაყო! —  
ძველმა ცოდვებმა გიწია,  
გვერდზე მიდექი, ბიძია!

ამბავს აბდაუბდად ჰყვება..  
და სასიძოს ჰაი-ჰუის  
სასიამპრო უკრავს კვერსო.  
— ვინ ყოფილა აი ბლუი?!  
— ფერი ფერს და მადლი ღმერთსო!

### კოეტი და ყასაბი

თვალები — ღრმა, უძირო,  
საოცნებო მღვიმეა!..  
მანლას, უნდა ვუცქირო,  
ჯიგრიანი ვინმეა!..


ცაზე მზეა ღმერთი —  
ჩემი ნეტარება!..  
ვარდს ბულბული ეტრფის,  
ბარდს თხა ეტანება.

ბუ

### ფარი ფარსო...

საპატარძლო ნიორს ნაყავს,  
აელამებს თვალებს ნებად,  
ბიჭი წრუპავს ანწლის არაყს,

ირაობდა მაღლა ძერა,  
მიჰკიოდა მიკიოტი.  
ფულუროდან აღმაცერად  
იცქირება იდიოტი...



უსიტყვოდ

## ნახევრად სკანდინავიური

- სჯობდა არ ქივს ჩავბარდეთ, ვიდრე მტერს!
- ასსაძი გვაქვს, ველით აღიარებას!
- ატომის დაშლას სამყაროს დაშლამდე ხომ არ მივყავართ?
- მოტომინების ფიალას ვინც გვივხვებს, მერიქიფედ ვერ გა-  
მოდგება!
- ვინსაც აფახებენ, თავიც იმან გაიყიდოს!
- ჯვარი აქაურობასო, ჭვრის დახმა კი არაო!
- მაგალითის აღება ქრთამად არ ითვლება.
- შენს გამოგონებას სხვა თუ არ ისაკუთრებს, მნიშვნე-  
ლოვანი არა აღმოგიჩენია-რა!
- აღსასრული იმას ჰქვია, როდესაც აღარავისთვის არ არ-  
ხებობ!
- სინდისი ის მთხოვნილია, ზოგიერთებს რომ ხშირად არ  
აწუხებს.
- ორი ბატონის ბატონი თუ ხარ, მაშინ გეტქმის ვაჟაკი,  
თორემ ორი ბატონის ყმობას რა უნდა!
- მოსუცი ბეზიები მოდიდან გადიან.
- ბაღი კარზე თუ მოგადგა, უეჭველად რაღაცას მოგთხოვს.
- ბაჭისი თუ არ ხარ, ნუღარ განცდი, ქრობა რომ გქონს!
- ნათბავი უარყოფილი იდეები ხად მიდიან?
- ბალიაში რომ იცხოვრო, ხულაც არ არის აუცილებელი,  
რომ შეცა იყო!
- წარსულის ეტლითაც შეიძლება მომავალში გახირონება.
- პირველთაგან რატომ ტვინვარჯიში არ ტარდება?
- ვინც დიდხანს გვალოდინებს, ჩვენზე ჰქვიათ როდია.
- ბალახი თუ არ ხარ, ნუღარ განცდი, ქრობა რომ გქონს!
- ბაგავრდებამ და მერე ამტკიცე, რომ შენი ვალი არ არის!
- ბაგონილი მაშინ ხვობია ნანახს, თუ უხინათლო ხარ!
- ბაღამდებული ბოროტება სიკეთედ ვერ ჩაითვლება.
- შიშს დიდი ყურებიც აქვს.
- ცხოვრებამ დროსავითაა: მიდის.
- თანამდევობა ადამიანის ხახათს არ ცვლის, უბრა-  
ლოდ ამუშავებს მას.
- მოულოდნელ სიხარულსაც არა უშავს-რა.
- ღამისთავაზე დილიდანვე უნდა იფიქრო!
- ქაბზა ჭერ კიდევ არ ნიშნავს ქალს.
- ის სამარე მანახვით, კუჩიანი რომ გააწირო!

- დიდებული გამოგონებაა რაკეტა — ღმერთთან გვაახ-  
ლოებს.
- სპუტარნი სულის მოვლაში ხელფასს რატომ არ იძლე-  
ვიან?
- წიგნის კითხვისას თუ ჩაგვიძინა, მისი დაუძინებელი  
მტერი აღარ ხარ!
- სპუტარნი „მე“-ს მკვლელი სხვა „მე“-ებს ვერ დაიცავს.
- ტვინიც ქონებაა, ამიტომაც აქვს ზოგს მეტი, ზოგს —  
ნაკლები.
- სიკვდილს ნუ წყევლი, მას უკვდავება მოაქვს!
- დედამიწამ ზოგიერთი ადამიანის გარშემო რომ იბრუ-  
ნოს, ქვეყანაზე სულ ღამე იქნებოდა.
- შიშს სიცოცხე თუ არ შედის, ჭერ ბინას ნუ დაარქმევ!
- ქაბზი ადამიანი რომ გახდეს, ჭერ ასატანი კაცი გახდის!
- წიგნმა გამოხმაურება გამოიწვია — იგი მის დამწერს  
თავში ჩაართყვს.
- სხელი კოკას ჰგავს: იხიც ტუდება.
- ზოგიერთების ბედს დამწყები შევლელი ჰედავენ.
- სხელიანი ადამიანი ჭერ კიდევ არ ნიშნავს სახელო-  
ვანს.

### გიგა მახვილამე







საპარტიველოს სახაგრომრეწვის თბილისის სახელმწიფო იპოდრომის, საქართველოს სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცხენოსნობის რესპუბლიკური სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობა გაცნობებთ, რომ იპოდრომის ტერიტორიაზე არსებული რესტორანი „ისინდი“ ზემდგომი ორგანოების მითითებით, დაიხურა, მის მაგივრად კი გახსნეს სალონები, ბარი და სასადილო, შინ როდესაც განსაზღვრული იყო ამ შენობაში განხილული საცხენოსნო სპორტისა და ცხენოსნური ტურიზმის მუზეუმი.

რესტორნის გაუქმება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ რესტორნიდან გამოსული არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირები ხელს უშლიდნენ სპორტსმენებს მუშაობაში.

ვფიქრობდით, რომ მდგომარეობა გამოსწორდებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი რესტორნის შენობაში განხილ ობიექტებში აკრძალულია სპორტის სახმელეთის შეტანა, მაინც ხშირია შემთხვევები, როდესაც იქ მყოფი ახალგაზრდობა ბახუსით დამამიძებელი გამოდის და იქმნება კონფლიქტური სიტუაციები სპორტსმენებსა და მწვრთნელებთან. შეზარბოშებული მოქალაქენი ცდილობენ ცხენები წაართვან სპორტსმენებს და თვითონ გაატარონ დრო, როგორც ნებაზე. სავაჭრო ობიექტების გვერდით იმყოფება დახურული მანეთი, ღია მანეთი, კონკურსის მოედანი და ცხენოსნობის სხვა ობიექტები.

იმისათვის, რომ არ განმეორდეს მსგავსი უსიამოვნება, გთხოვთ

თქვენი ბასრი იარაღის მოხმარებას იპოდრომის ტერიტორიაზე უმსგავსობის აღსაკვეთად!

მ. ტატიშვილი, თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექტორი; ბ. პალმანელიძე, სპორტსახკომის ბაზის დირექტორი; ზ. დუნდუა, სპორტსკოლის დირექტორი.

\* \* \*

მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის მე-17 კორპუსის პირველ სადარბაზოში სარდაფები წყლითაა სავსე (რაღა ჩვენი კორპუსი და რაღა ნოეს კიღობანი!) წყლის დონემ უკვე სამ მეტრს მიაღწია. რამდენჯერმე ამოვტუმბეთ წყალი საქაჩით, მაგრამ ისევ იცვება სარდაფები.. სახლი გაიზარა, წყალქვეშ დარჩა სანტექნიკის მილები, დენსადენები.. ადვილი შესაძლებელია, რომ დენი წყალში გადავიდეს და უბედურება მოხდეს.. ამის შესახებ ჭერ კიდეც 1985 წელს მივმართეთ თხოვნით გლდანის რაიადმსკომს, რომელმაც ამ საკითხის მოგვარება „თბილქალაქმშენის“ კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს დაავალა და ამით დამთავრდა ყველაფერი კორპუსში ისევ ისეთი მდგომარეობაა. წყლის დონე კი დღითიდღე მატულობს..

გვიშველეთ რაზე, ნიანგო!

შენს იმედზე დარჩენილი ამავე კორპუსის ჯარჯარობით ცოცხალი მოგინადრებავი.

### ვაი ჭკუისაბან

#### ფეხბურთი

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში შარშან, იანვარში, 12 საფურე დეკაული შემოიყვანეს როსტოვის ოლქის მარტინოვსკის სასუქი მეურნეობიდან. არ დაიცვეს კარანტინის წესები და ჯანსაღ ჯოგს შეუერთეს. მხოლოდ 50 დღის შემდეგ გაახსენდათ, რომ შეცდომა დაუშვეს.

ბრუცელოზზე შემოწმებისას გაირკვა, რომ 75 პროცენტი დაავადებულია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ბურბულია, ზოტტექნიკოსი შ. შიშია და ვეტეკიმი ზ. ტორიშა, როგორც იტყვიან, ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ. შედეგი — ძირითადი სარძევე ჯოგი, 157 სული, მიმდინარე წლის იანვარში დასაკლავად ნაბარდა!

წლეულს დაავადება ინდივიდუალურ სექტორსაც გადაედო; ბრუცელოზით დაავადებულთა შორის აღმოჩნდნენ ფერმის გამგე დ. ჭაბუა, ვეტტექნიკოსი პ. კოლონია და მექანიზატორი ნ. შენგელია..

იქნებ აღნიშნულ ფაქტზე არც კი გაგვიმახვილებინა ყურადღება, რამ იმავე რაიონის კამოს სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. სამინი, ზოტტექნიკოსი პ. კანინი, მთავარი ვეტეკიმი ბ. კანინი-ქაძე) ანალოგიურ ფაქტს არ ჰქონოდა ადგილი. აქ 18 დეკაული შემოიყვანეს იმავე ოლქის მეურნეობა „მელიორატორიდან“ და ვეღა დაავადდა. მათ საკუთარი 65 ფურიც შეემატა..

ორივე შემთხვევაში საქონლის შემოყვანა მოხდა გეგმისა და რაიონის ვეტსამსახურის ნებართვის გარეშე. ახლა ორივე თავმჯდომარის ვაი-ჭკუის საქმეს აფხაზეთის პროკურატურა ირკვევს და სამართალი თავისას იქმს!

ნახ. დ. ზარაფიშვილისა



— ამათ ბურთთან ერთად მაყურებელიც ფეხებზე დაიკიდეს!

ქ. მ.

# კანონი და სახელმწიფო

აპრილის ზედიზედ სამ საღამოს ჩაიკოვსკის სახელობის მრავლმხანველ დარბაზში მართლაც არნახული რამ ხდებოდა: ბილეთებს კილომეტრის სიშორეზე კითხულობდნენ, სცენაზე სოლიდური სახელისა და აკადემიური რეპუტაციის მქონე მუსიკოსები ორ საათის განმავლობაში მასხრობდნენ, ოხუნჯობდნენ, საქართველოს კამერული ორკესტრის მოსახმენად მოსული ინტელიგენტური შესახედაობის ადამიანები კი უზრუნველად ხარხარებდნენ ბეთმოვენის, შაინსკის, ლისტის, ბოგოსლოვსკის, ჩაიკოვსკის, კარტ-ნიკოვის, შოპენის, სარასატეს, გრიგისა და სხვა უთვალსაჩინოეს კომპოზიტორთა მელოდიებზე. სარატოვიდან აქ მოეწვიათ მოხეტიალე კვარტეტი, რომელმაც მოსკოველთა მქუხარე აპლოდისმენტების სულ ცოტა ცხენის დოზა მაინც მიითვისა. მსცოვან პიანისტ ა. სლობოდნიაკს, ცნობილ მევიოლინე ვ. პიკაიუნენს, თეატრ „სოფრემენიის“ მსახიობს ვ. ნიკოლინს, სხვა თეატრის სხვა მსახიობს ა. შირვინდტს, მწერალ ა. არკანოვს, თეატრალურ მოღვაწე ვ. გერდტსა და სხვებს ნამდვილი მხიარული „შაბაში“ გაემართათ, და მბრძანებლობდა ყველაფერ ამას ლიანა ისაკაძე — ვიოლინოზე დაკვირის დიდოსტატი და საქართველოს კამერული ორკესტრის ვირტუოზი დირიჟორი.

ეს გახლდათ ღონისძიება კოდური სახელწოდებით „მუსიკოსები იცინიან“. გამორიკვა, რომ თვით ა. შირვინდტიც კი თავის შორეულ, ფეხშიშველა ბავშვობაში ხუთი წლის განმავლობაში ეუფლებოდა თურმე ვიოლინოზე ცეცხლოვანი დაკვირის ხელოვნებას: ის საიდუმლოც გამოჟღავნდა, რომ ა. არკანოვი სტუდენტობის წლებში პურის ფულს თურმე ახალგაზრდობის საცეკვაო მოედ-

ნებზე შოულობდა, როგორც საყვირზე დამკვრელი და ლაბუნების კეშმარტი ამფონი. და მარტო ერთმა ღმერთმა უწყის, რატომ არ გახდა ვ. გერდტი დირიჟორი, ვ. ნიკოლინი კი — მეორე ვიოლინების ჯგუფის კონცერტმასტერი...

მხიარულება გამეფებულიყო სცენაზეც და დარბაზშიც, არც იცის, სად უფრო მეტი იყო სიხარული. დაღის ხმები. რომ საპირველაპრილო მუსიკალური არმადანი პროვოცირებული იყო ლიანა ისაკაძის — მგზნებარე თბილისელი მევიოლინის მიერ, რომელიც, სხვათა შორის, მოსკოვში გახლავთ ჩაწერილი, მეტრო „პროგნოზ-ენსკაიას“ ახლოს. ეტყობა, მისი ელვარე ტალანტის კიდევ ერთი ახალი წახნაგი გაბრწყინდა — ცეცხლოვანი იუმორი და გადამღები ხალისიანი განწყობილება. და უნებლიედ იწყებ კაცი თენებას იმაზე, რომ ყოველ პირველ ამრიღს მაინც იყვინ ჩვენი თეატრები და საკონცერტო დარბაზები ნაკლებ შებორკილები და ცივები და ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს ჯადოსნურ გამომგონებლობაში, კაშკაშა ფანტაზიასა და უსაზღვრო გონებაშახვილობაში, ანუ ყოველივე იმაში, ურომლისოდაც სერიოზულ ადამიანს ვერც კი წარმოუდგენია კარგი საპირველაპრილო ზუმრობა!

ვიტ. რმენიკოვი, მსმენელი-ი.  
(„ლიტერატურაზე გაზეთი“ 29. IV. 87 წ.)

## ლია ნაილ-განხილვა სალიგაჩაგორო ვნის ნოკაზის დამღვენ კოშინიას

რაკი მუსიკის დიდება გვყავს ისაკაძე ლიანა, გიორგი, ვიოლინოს დღეიდან აწოდოს ვიოლიანა!  
ნიანვი

ნან. ა. კანდელაკისა



— მე „უიგულის“ მოსაგებად მოვედი!  
— მეც!

# ყველა მოქალაქე უფლები

- შვილო, რამდენის საგანი დაგრა ჩასაბარებელი?
- ორი, მამაჩემო!..
- რამდენი კი არა, რამდენის-მეთქი, გეკითხები!
- ვერე მითხარი, შე კაცო!.. ახლა გაძვირდა... ორი ათასი მანეთის!..

- მორჩა!.. დამთავრდა უშრომელი შემოსავლით კუნტრუში! დღეიდან მანეთსაც ვერ მიიღებ! — უთხრა ქმარმა ცოლს.
- თანახმა ვარ... მაშინ კანონიერი შემოსავლიდან მომეცი!
- ჰო, ჰო! რა ცხოვრება, რა ავეჯი, რა მანქანები!.. მაგან თქვას, ბედნიერი ვარო!..
- მოიცა, ნუ ჩქარობ! ქარის მოტანილს ქარი წაიღებს!..

**ქმარი** თითქმის ყოველამე გაღეშილი მოდიოდა სასლში, ყველაფერს ამტვრევდა და ცოლს სცემდა!.. ვერაფერს გახდა ცოლი... მეორე დღეს, როცა ქმარი ფხიზელი დაბრუნდა, ცოლმა სიმთვრალე მოიგონა: ჭურჭელს ლეწავდა, ქმარს ცარიელ ბოთლებს უშენდა!


შეშინებული ქმარი სახლიდან გაიქცა.  
ცოლმა შეუთვალა: — რაც დათესე, ის მოიმკეო!

**ციოლა.** ავტობუსის გაჩერებაზე დილაადრიანად ხალხმრავლობა იყო, ყველა ტრანსპორტს ელოდებოდა... მოულოდნელად მათ ერთი მგზავრი გამოეყო, ბინოკლი მომარჯვა და მზერა დაიწყო. ყველა გაკვირვებული შესცქეროდა. ბოლოს ერთმა შეკბედა და ჰკითხა: — რას უყურებთ აგრე გაწყვიციბითო?

— ჩემს ნატვრისთვის, 27 ნომერ ავტობუსს! — უპასუხა მოთმინებადაკარგულმა მგზავრმა.

თ. იაძე.

# შენი, სექსი ვირუსი



სატირისა და იუმორის  
ჟურნალი „ნიანგი“ № 18  
(1743). ივლისი. გამოსცა  
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ ზოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ჭაბუა ამირჯიანი, ნოზალი  
ბართაია, ბორის გურგუ-  
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-  
მალ ლოლუა, ნოდარ მა-  
ლაზონია (მხატვარ-რედაქ-  
ტორი), ალექსანდრე სამსო-  
ნია, ბუენ სიხარულიძე,  
(მთავარი რედაქტორის მო-  
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-  
ანი, თამაზ წიგწიაძე, ნაფი  
ჭუსთოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი დუნდუა

გალეცა ასაწყობად  
02. 06. 87 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 03. 07.  
87 წ. ქალაქის ზომა  
60x90/4, ფიზიკური ნაბე-  
ჭდი ფურცელი 1,5, საად-  
რისებრო-საგამომცემლო თა-  
ბახი 1,9, საქართველოს კ-  
ცეის გამომცემლობა, ლე-  
ნინის 14. შეკვეთა 1451.  
უე 04885. ტირაჟი 144.000.  
ჟურნალი გამოსცის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემო-  
სული მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა. გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაკების — 99-02-38,  
მდივან-მემა ნ ქ ა ნ ს —  
99-76-69.

Сатирико - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ». (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
ставели № 42. Издатель-  
ство ЦК КП Грузии,  
Ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.  
ინდექსი 76137

## პოლიტიკური ვალაბონი

მპკ, დრონი, დრონი!.. განდა შიდსი — შექნილი იმუ-  
ნოლოგიის სინდრომი — სასიკვდილო სენი ძნელად სასხე-  
ნი და ასახსნელი. მის სავიზიტო ბარათს აწერია: „H IV ვი-  
რუსი“, მაგრამ საიდან არის იგი, ამაზე დუმს ქალაქი, პა-  
პირუსიც!..

ამბობენ, ვითარცა განსეთქილების ყბადღებული ვაშლი,  
ეს ვირუსიც ღმერთმა თუ ქალღმერთმა გვესროლაო სელგაშ-  
ლით. ცას შეპყრებენ ცათამბჯენებით რელიგიური შემარჯ-  
ვენენი, შიდსი ინგლისურად ეძვრს როგორც „აიდსი“, აიდსი  
კი ხარკის განსავითარ შესატყვისი, ღვთის ნებით დგება წელი  
ვირთხისა — ჩვენი მიწიერი ცოდვების ფაში განკითხვისა. მამა  
უფლის ნებას წინ ვერ აღუდგები! — შიდსით უწინ ისპობიან  
პომოსეკსუალისტები და პროსტიტუტკები!..

ეს განსავითარ მონანიების ნიშნად რელიგიური თითზე კბე-  
ნანი და მამაზეციერისკენ დაკბენილი თითის გაშვებანი.

მანდ, მანდ გამობერტყეთო საკუთარი ქება, მე რა შუაში  
ვარო?! — მაღლიდან დამყურე ღმერთი მხრებს იხეჩავს.

1985 წლის იანვარში პარიზული მეცნიერნი ღმერთს არ  
დარჩნენ ვალში, მოსინჯეს სინჯარებში მიკრობთა კულტურა  
და განსაზღვრეს შიდსის ვირუსის სტრუქტურა, გენეტიკური  
სტრუქტურის შედარებითი ანალიზი გაკეთდა გულდაგულ,  
ერთგვარი ხალისით და მსგავს ვირუსებთან მისმა შედარე-  
ბამ ვერავის მოჰგვარა ხსნა და ნეტარება, რადგან რეზიუმეში  
მავით თეთრზე წერია შემდეგი: „შიდსის ვირუსი არაა მიკ-  
რობთა ბუნებრივი მუტაციის შედეგი“. კიდევ ასკვნიან, ბოლო  
წლებამდე იგი დედამიწაზე არარსებულაო და ამიტომაც  
პათოლოგიურ აკრობატეკაში უწერია ნული ქულაო.



ქიმიური გზით სიცოცხლის უჯრედის გენეტიკური სისტე-  
მის მოლეკულური ჯაჭვის გაყოფა — ეს იყო მრავალთავის  
სასრნობელის ყულფში თავის გაყოფა, ფორტ-დეთრიკის (შე-  
რილენდის შტატი) „უაღრესად საიმედო“ ლაბორატორიაში,  
ჭკუით არავინ იყო ბავშვი, პირიქით, ექსპერიმენტები, რომ-  
ლებიც ტარდებოდა სამხედრო-ბიოლოგიურ გამოკვლევათა  
ჩარჩოებში, სულაც არავინ იცოდა არც ქალაქში და არც  
რანჩოებში, სრულიად საიდუმლოდ ტარდებოდა ცდები ჯერ  
ბაღინჯოებზე და ტილებზე, შემდეგ კი „მოხალისე“ პატიმ-  
რებზე (ჩათვალეთ, მომავალ მკვდრებზე!.)

ამუ-ის ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი  
მსოფლიოს აოცებს თავისი ვერმიხვედრით, ვერც ის შეიტყო  
სხვებზე ადრე, რომ სენის სიმპტომებია კანზე ლაქები და  
უნველო სიგამხდრე.

პრეზიდენტი რეიგანი, როცა შიდსს უხსენებდნენ, იყო  
სიტყვაძუნწი, ავი სენი კი არა, თითქოს ყოფილიყოს იგი  
რამე სწუწი. და არც ასლა, როცა შტატებში შიდსის ვი-  
რუსი შეყრილთა რიცხვმა 4 მილიონს მიაღწია, სულაც არ  
ამტყდარა გაწამაწია. მსოფლიო ერთხელ, მოჩვენებით — ხელ-  
ში ლუპით, საჯარო მოხსენებით გამოვიდა მთავარი ქირურ-  
გი ეპერტ კუბი.

სენი კვლავც არის ფრიად საშიში და მოძალეული, მის  
წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყოფილი თანხები კი რჩება  
უაღრესად მოკრძალებული!..

სენი სასიკვდილო სხვაგ ბუვი გვინახავს, მაგრამ ეს აქა-  
მდე ცნობილს, არც ერთს არ მიაგავს.

სიყვარულს შტატებში და შტატებს ვარეთაც აღარა აქვს  
ხალისი, საცოლეს ირჩევენ შიშით და კანკალით... სისხლის  
ანალიზით!..

რას იზამს შიდსი ოთხმოცდაშვიდში? — ამ კითხვისას ყვე-  
ლას ენა უცივდება პირში.

წელს თუ არა, მერმის, ან იქით მერმის ნუთო იმედის სმა  
არსით მოგვესმის? ნუთო მსოფლიო გაიყოფა ორად სამარა-  
დისოდ — მსოფლიო შიდსით და მსოფლიო უშიდსოდ?

ნუთო სამუდამოდ მოკვდა ერთის ნახვით შეყვარების თეო-  
რია და პრაქტიკა და შიშმა მოიცვა არქტიკა და ანტარქტიკა?

**ცნობილი მიკრობიოლოგი, ნობელის პრემიის  
ლაურეატი დევიდ ბალტიმორი ვარაუდობს, რომ „ამ ავად-  
მყოფობასთან ბრძოლა ალბათ მომდევნო ათწლეულსა და  
მომდევნო ათასწლეულშიც შედციინის უმნიშვნელოვნენი  
პრობლემა იქნება“..**

მანამდე კი უკვე გაისმის სმები, მავანნი მოითხოვენ ერთ-  
ჯერადი წარმოების შპრიცების შემოღებას და სენშეყრილთა  
სრულ იზოლაციას, საზოგადოებრივ განატივებას!..

სასიკვდილო სენთან ბრძოლის მრავალი გზა მოჩანს, მაგრამ  
ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი ის ერთადერთი, ჯერჯერობით,  
გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული!..

## ელგუჯა მერაბიშვილი



ამერიკელი მეცნიერი მაქს ესექსი, რომელსაც აინტერე-  
სებდა, თუ რა მიმართებაშია შიდსთან სექსი, ადგენდა რა  
სენშეყრილთა გრძელ და შავ სიას, მტკიცედ ასკვნიდა, რომ  
ვირუსი მაკაქასია. და რაკი მამიუნებმა ვერა თქვეს რა პრო-  
ტესტის ნიშნად, აფრიკამდე გადაიწია H IV ვირუსის არეა-  
ლის მიჯნამ და სენი იმუნური მოინათლა როგორც „აფრი-  
კული“, ანუ „მამიუნური“.

ასე ატყდა აღმოჩენის ცრუ განგაში და მეცნიერები საექს-  
პედიციოდ გაემგზავრნენ აფრიკაში. მაკაქები კი თითხაც არ  
კაკავენ: — რის შიდსი, რომელი ვირუსიო, ჯიშში და ჯი-  
ლაგში არ გვიხის არც ერთი მინუსიო!

მაშინ ბერლინელმა მეცნიერებმა — ცოლ-ქმარმა ლილი  
და იაკობ სენეგალებმა შეძლეს ცრუ ვერსიებთან პარალელის  
გავლება. გაბედულად აუწყეს მსოფლიოს, რომ აფრიკა არაა  
შიდსის წარმოშობის ერთადერთი პუნქტი და რომ H IV  
ვირუსი არ შეიძლება იყოს მუტაციების შედეგად შექმნილი  
ბუნების პროდუქტი... და კიდევ:

აიდსი არ არის ღვთით დაკისრებული ხარკი, იგი მოვლე-  
ნილია დედამიწაზე... ფორტ-დეთრიკის თაღლითური მარ-  
კით...

